№930 2015 წლის 15 მაისი ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ ინგლისური ენის ტრენინგის პროგრამის აუცილებელი მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში დასაქმებულთა ინგლისური ენის ცოდნის დონის ამაღლების მიზნით, უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალისგან - „ბრიტანეთის საბჭო საქართველოში“ - ინგლისური ენის ტრენინგის პროგრამის აუცილებელი მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**